ინფორმაცია სკრინინგის შესახებ – შემოწმებები ევროკავშირის გარე საზღვარზე

ზღვით არასანქცირებული გადაკვეთა ან SAR (ძიებისა და სამაშველო) ოპერაციები

თქვენ იმყოფებით _____, იტალიაში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. გვსურს გაცნობოთ, რომ ჩვენ აქ ვართ თქვენი მხარდაჭერისთვის. თუ გაქვთ შეკითხვები ან გჭირდებათ დახმარება, ნუ მოგერიდებათ მოგვმართოთ.

თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ თარჯიმნისა და კულტურული მედიაციის ხელმისაწვდომი მომსახურებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო კომუნიკაცია კომპეტენტურ ორგანოებთან. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დასვათ შეკითხვები და მოითხოვოთ განმარტებები. შესაძლებლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მოითხოვოთ მამაკაც ან ქალ თანამშრომელთან საუბარი.

1. ქვეყანაში შესვლის პირობები

ამჟამად თქვენ ჯერ კიდევ არ ხართ კანონიერად დაშვებული ევროკავშირის ტერიტორიაზე, რადგან არ დაგიცავთ ქვეყანაში შესვლის წესები. შესაბამისად, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ჩაატარონ შემოწმების პროცედურა, რომელსაც სკრინინგი ეწოდება. ამ პროცედურის განმავლობაში სრულად მოქმედებს და დაცულია ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია იტალიის ეროვნული კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლითა და ევროკავშირის სამართლის ნორმებით.

2. სკრინინგის პროცედურები

სკრინინგის პროცედურები ჩატარდება აქ, _____.

ქვემოთ მოცემულია ის ეტაპები, რომლებსაც კომპეტენტური ორგანოები ატარებენ სკრინინგის რეგლამენტის შესაბამისად:

- ცენტრში შესვლისას თქვენი და თქვენი პირადი ნივთების ფიზიკური შემოწმება უსაფრთხოების მიზნით.
- სამედიცინო პერსონალის მიერ პირველადი შემოწმება, რათა დადგინდეს, გჭირდებათ თუ არა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან იზოლაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.
- იდენტობის დადგენა, პირადი მონაცემების (სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა) შეგროვება, ასევე თქვენს მფლობელობაში არსებული პირადობისა და

სამგზავრო დოკუმენტების წარდგენა. დოკუმენტების არწარდგენა შეიძლება შეფასდეს, როგორც კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა.

- მოქალაქეობის არმქონე პირის (აპატრიდის) სტატუსის არსებობის შემთხვევაში მისი მითითება.
- თქვენთან ერთად მყოფი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რათა შესაძლებლობის ფარგლებში ერთად დარჩეთ.
- იტალიაში შემოსვლის მიზეზის მითითება.
- პირადი მონაცემების გაზიარება კომპეტენტურ ორგანოებს შორის, ისე რომ ისინი თქვენი თანხმობის გარეშე სხვა პირებს ან ორგანიზაციებს არ გადაეცემათ.
- თითის ანაბეჭდების აღება და იდენტიფიკაციის მიზნით ფოტოს გადაღება.
- მონაცემების შემოწმება ეროვნულ და ევროპულ ციფრულ საინფორმაციო სისტემებში უსაფრთხოების მიზნებისთვის.
- მონაცემების შეგროვება და შენახვა მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია პროცედურის წარმართვისთვის.
- დამატებითი სამედიცინო შემოწმება, გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებების, სანიტარიული იზოლაციის აუცილებლობის, სპეციალიზებული სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების შეფასების მიზნით.
- ინდივიდუალური გასაუბრება, მოწყვლადობის ან განსაკუთრებული საჭიროებების გამოსავლენად, ასევე განსაკუთრებული მოწყვლადობის შემთხვევების დაუყოვნებლივი გამოვლენისა და დაფიქსირების მიზნით.

თუ იმყოფებით განსაკუთრებული საჭიროების ან მოწყვლადობის მდგომარეობაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ კომპეტენტურ ორგანოებს. მაგალითად, თუ: ხართ 18 წლამდე ასაკის, გჭირდებათ სამედიცინო დახმარება, ხართ ქალი, ხართ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსი, გაქვთ შეზღუდული შესაძლებლობა, გჭირდებათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ხართ ხანდაზმული, ხართ მარტოხელა მშობელი არასრულწლოვან შვილ(ებ)თან ერთად, გაწუხებთ მძიმე დაავადება ან ფსიქიკური აშლილობა (მათ შორის პოსტტრავმული სტრესული აშლილობა), ხართ ორსულად, გადატანილი გაქვთ წამება, გაუპატიურება ან ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის სხვა მძიმე ფორმები (მაგალითად, გენდერული ძალადობა, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ბავშვობის ასაკში ან იძულებითი ქორწინება, ან ძალადობა, რომელიც ჩადენილია სქესის, გენდერის, რასის ან რელიგიის ნიშნით), ხართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, მათ შორის სექსუალური, შრომითი ან სხვა სახის ექსპლუატაციის მიზნით, ან იძულებითი ქორწინების მიზნით.

თუ 18 წლამდე ასაკის ხართ, იტალიის კანონმდებლობის მიხედვით არასრულწლოვნად ითვლებით. ეს ნიშნავს, რომ მიიღებთ თქვენი ასაკისა და საჭიროებების შესაბამის მიღებას, ზრუნვასა და მხარდაჭერას. თუ თქვენთან ერთად არ არიან თქვენი მშობლები ან სხვა

სრულწლოვანი პირები, რომლებიც კანონიერად არიან პასუხისმგებელნი თქვენზე, დაგენიშნებათ სრულწლოვანი წარმომადგენელი (მეურვე), რომელიც დაგეხმარებათ და დაიცავს თქვენს უფლებებს მთელი პროცედურის განმავლობაში. თუ გაქვთ დოკუმენტები ან სამედიცინო ცნობები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, გთხოვთ, წარადგინოთ ისინი რაც შეიძლება მალე.

- თქვენ, თქვენი ოჯახის წევრებისა და თქვენი მოგზაურობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათ შორის თქვენი წარმოშობის ქვეყნიდან იმ ქვეყანაში ჩამოსვლამდე, სადაც ამჟამად იმყოფებით.
- სკრინინგის პროცედურის დასრულება ფორმაზე ხელმოწერით და მისი ასლის გადაცემით, მას შემდეგ, რაც გადაამოწმებთ, დაადასტურებთ ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვთ ფორმაში შეტანილი ინფორმაციის შესწორებას.
- სკრინინგის პროცედურის დასრულება კომპეტენტურ ორგანოებთან თქვენი გამოცხადებიდან ან იტალიის ტერიტორიაზე თქვენი აღმოჩენიდან სამი დღის ვადაში.

ამ პროცედურის ფარგლებში თქვენ მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია. იგი არასოდეს გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც არ არიან ჩართული ამ პროცედურის განხორციელებაში.

3. სკრინინგის პროცესში თქვენი უფლებები და მოვალეობები

- სკრინინგის პროცესის განმავლობაში თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ საკვები, საცხოვრებელი, სამედიცინო დახმარება (ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში) და მოგეპყრონ ღირსების დაცვითა და თქვენი ფუნდამენტური უფლებების სრული პატივისცემით.
- თუ გაქვთ ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემა, გჭირდებათ ფსიქოლოგიური ან სხვა სახის მხარდაჭერა, ან გსურთ აცნობოთ კომპეტენტურ ორგანოებს თქვენს წარმოშობის ქვეყანაში, ტრანზიტის პერიოდში ან საზღვრის გადაკვეთისას მომხდარი შემთხვევების შესახებ, ამის გაკეთება შეგიძლიათ კომპეტენტურ ორგანოებთან ან იმ პერსონალთან, რომელიც დახმარებას გიწევთ.
- თქვენ გაქვთ უფლება დაუკავშირდეთ ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს კონსულტაციასა და დახმარებას, მათ შორის იურიდიულ დახმარებას.
- თუ მიიჩნევთ, რომ სკრინინგის პროცესში თქვენი ფუნდამენტური უფლებები დაირღვა, გაქვთ უფლება მიმართოთ კომპეტენტურ ორგანოებს.
- თქვენ ვალდებული ხართ სკრინინგის პროცედურის განმავლობაში დარჩეთ იმ ადგილზე, რომელიც კომპეტენტურმა ორგანოებმა განგისაზღვრეს, და მოთხოვნის

შემთხვევაში მიაწოდოთ ზუსტი და სრული ინფორმაცია, რათა ორგანოებმა შეძლონ შეაფასონ თქვენი იტალიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის უფლება.

- თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ კომპეტენტურ ორგანოებთან. კერძოდ, ვალდებული ხართ მიაწოდოთ:
    - თქვენი სახელი, დაბადების თარიღი, სქესი და მოქალაქეობა;
    - თქვენს მფლობელობაში არსებული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს თქვენს ვინაობას;
    - თქვენი თითის ანაბეჭდები და საიდენტიფიკაციო ფოტოსურათი, რომლებსაც გადაიღებს უფლებამოსილი პერსონალი.

თუ არ ითანამშრომლებთ კომპეტენტურ ორგანოებთან, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს იმ შემდგომ პროცედურებზე, რომლებიც თქვენს მიმართ იქნება გამოყენებული.

- თქვენ ვალდებული ხართ მიაწოდოთ სრული და სწორი ინფორმაცია, ხოლო თუ რომელიმე ინფორმაცია არ გახსოვთ ან მისი მიწოდება არ შეგიძლიათ, ამის შესახებ ნათლად უნდა აცნობოთ კომპეტენტურ ორგანოებს.

4. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება

- თუ გეშინიათ დაბრუნების იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ხართ (ან, თუ მოქალაქეობის არმქონე პირი ხართ, იმ ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივ ცხოვრობდით), რადგან თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, ან გეშინიათ წამების, მძიმე არასათანადო მოპყრობის ან ძალადობის, თქვენ გაქვთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება. თუ თქვენ დევნას განიცდიდით ან გეშინიათ, რომ დაგდევნიან რასის, მოქალაქეობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების ან განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფთან კუთვნილების გამო, ან თუ გეშინიათ, რომ გახდებით ძალადობის მსხვერპლი, მონობაში აღმოჩნდებით, სიკვდილით დაგსჯიან, წამებას დაგიქვემდებარებენ, ან თუ ომის ზონიდან ჩამოდიხართ, შეგიძლიათ მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა.
- თუ გსურთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა, ამის შესახებ მკაფიოდ აცნობეთ კომპეტენტურ ორგანოებს სკრინინგის პროცესში და აუხსენით თქვენი მოთხოვნის მიზეზები.
- თუ მოითხოვთ საერთაშორისო დაცვას, თქვენ გექნებათ უფლება გადაგიყვანონ თქვენს საჭიროებებზე მორგებულ მიმღებ ცენტრში.
- განაცხადი უნდა წარადგინოთ იტალიაში, რადგან სწორედ აქ ჩამოხვედით და ამჟამად აქ იმყოფებით. თქვენ ვერ აირჩევთ, რომელი ევროკავშირის სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე, თუმცა ოჯახის ერთიანობის დაცვის საჭიროება გათვალისწინებული იქნება.

- თუ თქვენი ოჯახის წევრები ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ამის შესახებ აცნობეთ სკრინინგის პროცესზე პასუხისმგებელ ორგანოს. ეს ინფორმაცია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმის შესაფასებლად, გაქვთ თუ არა მათთან კანონიერი ოჯახის გაერთიანების უფლება.
- თუ საერთაშორისო დაცვას ითხოვთ, ვალდებული ხართ დარჩეთ იტალიაში და ვერ გადახვალთ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე. თუ საერთაშორისო დაცვის შესახებ თქვენს განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე დატოვებთ იტალიას, ამას შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები თქვენი საქმისთვის, რადგან პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, რომელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე. თუ ამ გადაწყვეტილებამდე სხვა ქვეყანაში გადახვალთ, კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაძლოა შეწყვიტონ თქვენი მიღება და განთავსება მიმღებ ცენტრში.
- იტალიაში არსებობს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვის რამდენიმე პროცედურა: ჩვეულებრივი პროცედურა, დაჩქარებული პროცედურა, რომელიც უფრო მოკლე ვადებში ტარდება, საზღვარზე (ან ტრანზიტის ზონაში) დაჩქარებული პროცედურა, რომელიც ძალიან სწრაფად მიმდინარეობს და გამოიყენება იმ ადგილებში, რომლებსაც იტალია სასაზღვრო ან ტრანზიტის ზონებად მიიჩნევს.
- ამ პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაცია და მათი ვადები მოგვიანებით აგეხსნებათ, რადგან შესაბამისი პროცედურა განისაზღვრება იტალიის კანონმდებლობით და გამოიყენება თქვენი პირადი გარემოებების გათვალისწინებით.

თუ 18 წლამდე ასაკის ხართ და იტალიაში იმყოფებით მშობლების ან სხვა სრულწლოვანი პირის გარეშე, რომელიც კანონით არის პასუხისმგებელი თქვენზე, თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ სპეციალური პროცედურით, რომლის საფუძველზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა არასრულწლოვნის სტატუსის გამო.

5. დაბრუნება (რეპატრიაცია)

თუ არ მოითხოვთ საერთაშორისო დაცვას და არ აკმაყოფილებთ იტალიაში შესვლის პირობებს, შესაძლებელია მიღებულ იქნეს დაბრუნების (რეპატრიაციის) გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაბრუნდებით თქვენს წარმოშობის ქვეყანაში ან სხვა ქვეყანაში, სადაც კანონიერად გაქვთ შესვლისა და ცხოვრების უფლება.

6. გადაყვანა სხვა წევრ სახელმწიფოში (Relocation)

შესაძლებელია, რომ გადაგიყვანონ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში, რომელიც დათანხმდება აიღოს პასუხისმგებლობა თქვენი საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვაზე. ამ პროცედურას ეწოდება გადაყვანა (Relocation).

7. თქვენს საქმეზე გამოსაყენებელი პროცედურა

სკრინინგის დასრულების შემდეგ, თქვენ მიიღებთ დამატებით ინფორმაციას საერთაშორისო დაცვის, დაბრუნების (რეპატრიაციის) ან გადაყვანის (Relocation) შესახებ, იმის მიხედვით, თუ რომელი პროცედურა იქნება გამოყენებული თქვენს საქმეზე.

8. პერსონალური მონაცემების დაცვა

გახსოვდეთ, რომ ევროკავშირის პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა გაძლევთ უფლებას: მიიღოთ წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე, ანუ იმ ინფორმაციაზე, რომელიც თქვენს შესახებ გააზიარეთ, მოითხოვოთ არასწორი მონაცემების შესწორება, ანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოითხოვოთ თქვენი მონაცემების წაშლა იტალიისა და ევროკავშირის იმ მონაცემთა ბაზებიდან, სადაც ისინი ამ პროცედურის ფარგლებში იქნა რეგისტრირებული.

ასევე გახსოვდეთ, რომ თქვენ ყოველთვის გაქვთ უფლება იყოთ ინფორმირებული იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც თქვენ გეხებათ, მოითხოვოთ განმარტებები და ნებისმიერ დროს ესაუბროთ იმ თანამშრომლებსა და სპეციალისტებს, რომლებსაც შეხვდებით იტალიაში თქვენი ყოფნისა და პროცედურის განმავლობაში.